

ბალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან

ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა და უკრაინა, შემდგომში “ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად” წოდებულნი,

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

პირველი ნაწილი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

სამართლებრივი დაცვა

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების იხეთივე სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეები. ეს აგრეთვე ეხება იურიდიულ პირებსაც, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად არიან შექმნილი.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად მიმართონ სასამართლოებს, პროკურატურას, სანოტარო კანტორებს (შემდგომში “იუსტიციის დაწესებულებებად” წოდებულთ) და ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სხვა დაწესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, და სისხლის სამართლის საქმეები, გამოვიდნენ მათში, აღძრან შუამდგომლობა და წარადგინონ სარჩელი განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებანი, იმავე პირობებით როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეებმა.

2. სამოქალაქო საქმეებად, ამ ხელშეკრულების თანახმად, აგრეთვე ითვლება საოჯახო საქმეები.

მუხლი 2

სამართლებრივი დახმარება

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეების იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთს უწევენ სამართლებრივ დახმარებას სამოქალაქო, და სისხლის სამართლის საქმეებზე ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად.

2. იუსტიციის დაწესებულებები სამართლებრივ დახმარებას უწევენ სხვა დაწესებულებებსაც, რომელთა კომპეტენციას მიეკუთვნება ხელშეკრულების ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული საქმეები.

3. სხვა დაწესებულებები, რომელთა კომპეტენციას მიეკუთვნება ხელშეკრულების ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული საქმეები, აგზავნიან თხოვნას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ იუსტიციის დაწესებულებების მეშვეობით.

მუხლი 3

სამართლებრივი დახმარების მოცულობა

1. სამართლებრივი დახმარება მოიცავს პროცესუალურ მოქმედებათა შესრულებას, რომელსაც ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობა, კერძოდ, მხარეთა ბრალდებულთა, და განსასჯელთა, დაზარალებულთა, მოწმეთა, ექსპერტთა დაკითხვას, ექსპერტიზის ჩატარებას, სასამართლო დათვალიერებას, ნივთიერი მტკიცებულებების გადაცემას, სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრას და დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემას, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას, დოკუმენტების გადაცემასა და გადაგზავნას, მეორე მხარის თხოვნით ბრალდებულთა ნასამართლობის შესახებ მონაცემების წარდგენას.

მუხლი 4

ურთიერთობის წესი

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას ხელშეკრულების მონაწილე მხარეების იუსტიციის დაწესებულებები ერთმანეთს უკავშირდებიან: საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან - იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

უკრაინის მხრიდან - იუსტიციის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 5

ენა

1. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ და თანდართული დოკუმენტები შედგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ენაზე და თან ერთვოდეს მეორე მხარის ან რუსულ ენაზე თარგმანის დამოწმებული ასლი.

2. თარგმანის დამოწმება ხდება ოფიციალური თარჯიმნის ან ნოტარიუსის მიერ, ან შემკითხველი მხარის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებების მიერ.

მუხლი 6

დოკუმენტების გაფორმება

იუსტიციის დაწესებულებებისა და სხვა დაწესებულებების მიერ სამართლებრივი დახმარების გასაწევად გასაგზავნი დოკუმენტები შემკითხველი მხარის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხლი 7

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ დავალების ფორმა

1. დავალებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს:

- 1) შემკითხველი დაწესებულების დასახელება;
- 2) შემსრულებელი დაწესებულების დასახელება;
- 3) საქმის დასახელება, რომელზეც იგზავნება მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად;
- 4) მხარეთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა ან დაზარალებულთა სახელები და გვარები, მათი მოქალაქეობა, საქმიანობა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი; იურიდიული პირების მიმართ – მათი დასახელება და ადგილსამყოფელი;
- 5) მათი რწმუნებულების გვარები და მისამართები;
- 6) დავალების შინაარსი, სისხლის სამართლის საქმეებზე კი ჩადენილი დანაშაულის ფაქტური გარემოებების აღწერა და მისი იურიდიული კვალიფიკაცია ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

მუხლი 8

შესრულების წესი

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ დავალების შესრულებისას იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მიეცა დავალება, გამოიყენებს თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობას. თუმცა იმ დაწესებულებების თხოვნით, რომლისაგანაც დავალება მომდინარეობს, მას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე დავალების გამომგზავნი მხარის პროცესუალური ნორმები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება მისი სახელმწიფოს კანონმდებლობას.

2. თუ იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მიმართეს დავალებით, არა კომპეტენტურია შეასრულოს იგი, დავალებას გადაუგზავნის იუსტიციის კომპეტენტურ დაწესებულებას და ამის შესახებ აცნობებს დავალების გამომგზავნ დაწესებულებას.

3. შესაბამის შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მიმართეს დავალებით, დავალების გამოძეგზავნა დაწესებულებას ატყობინებს დავალების შესრულების დროსა და ადგილს.

4. დავალების შესრულების შემდეგ იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მიმართეს დავალებით, დოკუმენტებს უგზავნის დავალების გამოძეგზავნა დაწესებულებას; იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იყო სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა, იუსტიციის შემსრულებელი დაწესებულება აბრუნებს დავალებას და ატყობინებს შესრულების ხელშეშლელი გარემოებების შესახებ.

მუხლი 9

დოკუმენტების გადაცემის წესი

1. შემსრულებელი დაწესებულება დოკუმენტების გადაცემას ახორციელებს მის სახელმწიფოში მოქმედი წესების შესაბამისად, თუ გადასაცემი დოკუმენტები მის ენაზე შედგენილი ან დართული აქვს დამოწმებული თარგმანი. იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტები ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ენაზე არ არის შედგენილი ან დართული არა აქვს თარგმანი, ისინი მიმცემს იმ შემთხვევაში ჩაბარდება, თუ კი იგი ნებაყოფლობით დათანხმდება მათ მიღებაზე.

2. დოკუმენტების გადაცემის შესახებ თხოვნაში მითითებული უნდა იყოს მიმღების ზუსტი მისამართი და გადასაცემი დოკუმენტის დასახელება. თუ გადაცემის შესახებ თხოვნაში აღნიშნული მისამართი არაზუსტი ან არასრული აღმოჩნდა, შემსრულებელი დაწესებულება თავისი კანონმდებლობის შესაბამისად ღებულობს ზომებს ზუსტი მისამართის დასადგენად.

მუხლი 10

დოკუმენტების გადაცემის დამოწმება

დოკუმენტების გადაცემის დამოწმება ფორმდება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი წესების შესაბამისად. დამოწმებისას მითითებულ უნდა იქნეს გადაცემის დრო და ადგილი, აგრეთვე პირი, რომელსაც დოკუმენტი გადაეცა.

მუხლი 11

დოკუმენტების გადაცემა და მოქალაქეთა დაკითხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ან საკონსულო დაწესებულებათა მეშვეობით

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ გადასცენ დოკუმენტები და დაკითხონ საკუთარი მოქალაქეები თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით. ამასთან, დაუშვებელია იძულებითი ხასიათის ზომების გამოყენება.

მუხლი 12

მოწმის, დაზარალებულის და ექსპერტის საზღვარგარეთ გამოძახება

1. თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვისას წარმოიშვება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე მყოფი მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის პირადად გამოცხადების აუცილებლობა, მაშინ უწყების ჩაბარების შესახებ უნდა ეთხოვოს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის იუსტიციის შესაბამის დაწესებულებას.

2. უწყება არ შეიძლება შეიცავდეს სანქციას გამოძახებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

3. დაზარალებული მოწმე და ექსპერტი, რომლებიც მათი მოქალაქეობის მიუხედავად ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის შესაბამის ორგანოში გამოძახების საფუძველზე, არ შეიძლება ამ მხარის ტერიტორიაზე მიცემულ იქნან სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, აყვანილ იქნენ პატიმრობაში ან დაედოს სასჯელი სახელმწიფო საზღვრის გადალახვამდე ჩადენილი რაიმე ქმედებისათვის. ასეთი პირები ასევე არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, აყვანილ იქნენ პატიმრობაში ან დაედოთ სასჯელი იმ დასკვნების ან ჩვენებების გამო, რომლებიც მათ მისცეს, როგორც ექსპერტებმა, იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც განხილვის საგანს წარმოადგენს.

4. ამ პირილევით არ სარგებლობენ დაზარალებული, მოწმე და ექსპერტი, თუ ისინი 15 დღის განმავლობაში შეტყობინებიდან, რომ მისი დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენს, არ დატოვებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიას. ამ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში აღნიშნულ პირებს მათგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო არ შეეძლოთ დაეტოვებინა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია.

5. ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე გამოძახების საფუძველზე გამოცხადებულ დაზარალებულებს, მოწმეებს და ექსპერტებს უფლება აქვთ იმ ორგანოებისაგან, რომელთაგანაც მომდინარეობს გამოძახება, მოითხოვონ მგზავრობასთან და საზღვარგარეთ ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე აუნაზღაურონ სამუშაოდან მოცდენის დღეების ხელფასი; ექსპერტებს, გარდა ამისა, უფლება აქვთ მიიღონ გასამრჯელო ექსპერტიზის ჩატარებისათვის. გამოძიებაში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რა სახის ანაზღაურების მიღების უფლება აქვთ გამოძახებულ პირებს; მათი შუამდგომლობის საფუძველზე ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომლისაგანაც მომდინარეობს გამოძახება, შესაბამის ხარჯების დასაფარავად იხდის ავანსს.

მუხლი 13

დოკუმენტის ნამდვილობა

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე შესაბამისი დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომლებიც დამოწმებულია ბეჭდით და კომპიუტერული პირის ხელმოწერით ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის

ტერიტორიაზე ყოველგვარი სხვა მოწმობის გარეშე მიიღება. ეს აგრეთვე ეხება შესაბამისი ორგანოს მიერ დამოწმებულ ასლებს და თარგმანებს.

მუხლი 14

სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ხარჯები

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თავად კისრულობენ მათ ტერიტორიაზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის გამო წარმოქმნილი ხარჯების ანაზღაურებას.

2. იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მიეცა დავალება, გაწეული ხარჯების შესახებ აცნობებს დაწესებულებას, რომლისაგანც მომდინარეოს დავალება. თუ დაწესებულება აანაზღაურებინებს ამ ხარჯებს იმ პირს, რომელსაც ევალება მათი დაფარვა, გადახდილი თანხები ჩაირიცხება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასარგებლოდ, რომლის დაწესებულებამაც მოახდინა თანხის ამოღება.

მუხლი 15

ინფორმაციის წარდგენა

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა და უკრაინის იუსტიციის სამინისტრო და გენერალური პროკურატურა თხოვნის საფუძველზე ერთმანეთს წარუდგენენ ინფორმაციას მათ სახელმწიფოებში ამჟამად ან ადრე მოქმედი კანონმდებლობის და იუსტიციის დაწესებულებების მიერ მათი გამოყენების საკითხების შესახებ.

მუხლი 16

უფასო სამართლებრივი დაცვა

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეებს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებში და სხვა დაწესებულებებში გაეწევათ უფასო იურიდიული დახმარება და უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამართალწარმოებით იმავე საფუძველითა და უპირატესობებით, როგორც საკუთარი მოქალაქეები, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 17

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების და სხვა
დოკუმენტების გადაგზავნა

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორაგნოები უზამდგომლობის საფუძველზე უშუალოდ გადაუგზავნიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის იუსტიციის დაწესებულებებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ამონაწერებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებიდან.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეთა შუამდგომლობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ მოწმობის გაგზავნის შესახებ შეიძლება უშუალოდ გადაეგზავნოს მეორე მხარის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ შესაბამის ორგანოს. ამ დოკუმენტებს განმცხადებელი მიიღებს იმ მონაწილე მხარის შუამდგომლობით, რომლის ორგანომაც გასცა ეს დოკუმენტები.

3. დოკუმენტები, რომლებიც ეხება განათლებას, სტაჟს და მოქალაქეთა სხვა პირად და ქონებრივ ინტერესებს, გაიცემა და გადაიგზავნება ამ მუხლის მე - 2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. ამ მუხლის 1-3 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები გადაიგზავნება თარგმანის გარეშე და უფასოდ.

მუხლი 18

უარი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე

სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ ამით ზიანი აღდება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სუვერენიტეტს ან უშიშროებას, ანდა იგი ეწინააღმდეგება მისი კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს.

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

სპეციალური დებულებანი

პირველი განყოფილება

სამართლებრივი დახმარება და სამართლებრივი ურთიერთობები სამოქალაქო საქმეებზე

მუხლი 19

სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადასახადებისაგან იმავე პირობებითა და იგივე მოცულობით, როგორც მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეები.

მუხლი 20

პირადი, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტების გაცემა:

1. სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან გათავისუფლებისათვის ნებართვის მიღებისათვის აუცილებელ დოკუმენტს პირადი, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გასცემს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც განმცხადებელს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

2. თუ განმცხადებელს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, მაშინ საკმარისია მისი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ გაცემული ან დამოწმებული დოკუმენტი.

3. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია დოკუმენტის გამცემ ორგანოს მოსთხოვოს დამატებითი განმარტებანი.

მუხლი 21

სასამართლოების კომპეტენცია

1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტური არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ანდა ფილიალი.

2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები საქმეებს განიხილავენ სხვა შემთხვევებშიც, თუ ამის შესახებ არსებობს მხარეთა წერილობითი შეთანხმება. ასეთი შეთანხმების არსებობისას სასამართლო წევვტს საქმის წარმოებას მისი განცხადების საფუძველზე თუ ასეთი განცხადება გაკეთებულია სარჩელზე საწინააღმდეგო მოსაზრების წარდგენამდე. სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენცია არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

3. საქმის წარმოების აღდგრის შემთხვევაში იმავე მხარეებს შორის, იგივე საგანზე და იგივე საფუძველით ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოებში, რომლებიც კომპეტენტური არიან ამ ხელშეკრულების თანახმად, სასამართლო რომელმაც უფრო გვიან აღძრა საქმე, წევვტს წარმოებას.

მუხლი 22

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც ეს პირი წარმოადგენს.

2. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იგი დაფუძვნდა.

მუხლი 23

შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობა

1. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად ცნობისას გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა და კომპეტენტურია იმ მხარის დაწესებულებები, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს.

2. იმ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის დაწესებულება დაადგენს, რომ არსებობს საფუძველი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ანდა არაქმედუნარიანად ცნობისას, რომლის საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ იგი ამის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის შესაბამის დაწესებულებას. თუ ამ გზით შეტყობინების მიმღები დაწესებულება განაცხადებს, რომ იგი შემდგომი მოქმედების შესრულების უფლებას აძლევს დაწესებულებას ამ პირის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით, ანდა სამთვიან ვადაში არ გამოთქვამს თავის აზრს, მაშინ დაწესებულებას ამ პირის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით შეუძლია თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოს საქმე პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ანდა არაქმედუნარიანად ცნობისათვის, თუ საამისო საფუძველები ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული, რომლის მოქალაქესაც ეს პირი წარმოადგეს. გადაწყვეტილება შეზღუდულ ქმედუნარიანად ანდა არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ უნდა გაეგზავნოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის შესაბამის დაწესებულებას.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დებულებები ასევე გამოიყენება პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმების ანდა მისი ქმედუნარიანობის აღდგენის დროსაც.

4. გადაუდებელ შემთხვევებში, დაწესებულებას იმ პირის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელიც შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად უნდა იქნეს ცნობილი და არის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქე, თავად შეუძლია მიიღოს ამ პირის ან მისი ქონების დასაცავად საჭირო ზომები. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები უნდა გაეგზავნოს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის შესაბამის დაწესებულებას, რომლის მოქალაქესაც ეს პირი წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილებები გაუქმებას ექვემდებარება, თუ ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულება სხვა რაიმეს დაადგენს.

მუხლი 24

უკვალოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება და გარდაცვალების ფაქტის დადგენა

1. უკვალოდ დაკარგულად აღიარების და გარდაცვლილად გამოცხადების ან გარდაცვალების ფაქტის დადგენის საქმეებზე კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენდა პირი იმ დროს, როცა იგი უკანასკნელი მონაცემების მიხედვით ცოცხალი იყო.

2. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის დაწესებულებანი უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქე აღიარონ უკვალოდ დაკარგულად ან გამოაცხადონ გარდაცვლილად, აგრეთვე დაადგინონ გარდაცვალების ფაქტი მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა შუამდგომლობით, თუ მათი უფლებები და ინტერესები ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობაზეა დამყარებული.

3. იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-ელ და მე – 2 პუნქტებში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები გამოიყენებენ თავიანთი სახელმწიფოს კანონმდებლობას.

მუხლი 25

ქორწინება

1. ქორწინების პირობები ქორწინების თითოეული მონაწილისათვის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იგი არის. გარდა ამისა, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება.
2. ქორწინების ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწილი.

მუხლი 26

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი

1. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი.
2. თუ ერთ-ერთი მეუღლე ცხოვრობს ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე და ამავე დროს ორივე მეუღლეს ერთი და იგივე მოქალაქეობა გააჩნია, მაშინ მათი პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.
3. თუ ერთ-ერთი მეუღლე არის ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქე და ერთი მათგანი ცხოვრობს ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის, ტერიტორიაზე, ხოლო მეორე მხარის ტერიტორიაზე მაშინ მათი პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ ჰქონდათ უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილი.
4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მეუღლეებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე არ გააჩნდათ საერთო საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის დაწესებულებაც განიხილავს საქმეს.

მუხლი 27

ქორწინების შეწყვეტა და ბათილად აღიარება

1. განქორწინების შეწყვეტის საქმეებზე გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა და კომპეტენტურია იმ მხარის დაწესებულება, რომლის მოქალაქეებიც იყვნენ მეუღლეები განცხადების შეტანის მომენტში.
2. თუ ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების შეტანის მომენტში ერთი მეუღლე იყო ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე, ხოლო მეორე

ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქე და ერთი ცხოვრობს ერთი მხარის, ხოლო მეორე – მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ კომპეტენტური არიან ორივე მხარის დაწესებულებები. ამასთან ისინი, გამოიყენებენ თავიანთი მხარის კანონმდებლობას.

3. ქორწინების ბათილად ცნობის საქმეებზე გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომელიც ამ ხელშეკრულების 25-ე მუხლის შესაბამისად გამოიყენებოდა ქორწინების დროს. ამავე დროს სასამართლოთა კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე.

მუხლი 29

სამართალურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის

1. საქმეები მამობის დადგენის ან გასაჩივრების, ან ამ ქორწინებიდან ბავშვის დაბადების ფაქტის დადგენის შესახებ წყდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი დაბადებით.

2. სამართალურთიერთობანი მშობლებსა და შვილებს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი.

3. თუ რომელიმე მშობლის ან შვილის საცხოვრებელი ადგილი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ სამართალურთიერთობანი მათ შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი.

4. სამართალურთიერთობანი ქორწინების გარეშე შეძენილ ბავშვსა და დედ-მამას შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი.

5. ამ მუხლის 1-4 პუნქტებში მითითებულ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანაზე კომპეტენტურნი არიან ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოები, რომლის კანონმდებლობაც უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევებში.

6. თუ მოსარჩელე და მოპასუხე ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ამ მუხლის 1 და 4 პუნქტების დებულებათა დაცვით კომპეტენტურნი არიან აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლოები.

მუხლი 29

შვილად აყვანა

1. შვილად აყვანის დროს გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის მშვილებელი შუამდგომლობის წარდგენის მომენტში. თუ მშვილებელი არის ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე, ხოლო საცხოვრებელი ადგილი გააჩნია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობა.

2. თუ ამას მოითხოვს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის შვილად ასაყვანი პირი, შვილად აყვანის დროს

აუცილებელია შვილად ასაყვანი პირის, მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს ნებართვა, აგრეთვე გამოიყენება შვილად აყვანასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რაც დაკავშირებულია შვილად ასაყვანის საცხოვრებლად მეორე სახელმწიფოში გადასვლასთან.

3. თუ ბავშვის შვილად აყვანა ხდება მეუღლეების მიერ, რომელთაგან ერთი ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეა, ხოლო მეორე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქე, დაცულ უნდა იქნეს ორივე მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან თუ მეუღლეებს ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენება ამ მხარის კანონმდებლობა.

4. ზემოაღნიშნული პუნქტების დებულებები შესაბამისად გამოიყენება შვილად აყვანის გაუქმების და მისი ბათილად ცნობის დროს.

5. შვილად აყვანის, მისი გაუქმების ან ბათილად ცნობის საქმეებზე, კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ორგანო, რომლის მოქალაქეც არის შვილად ამყვანი შუამდგომლობის წარდგენის დროს. თუ შვილად ასაყვანი არის ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე, ხოლო საცხოვრებელი ადგილი გააჩნია მეორე მხარის ტერიტორიაზე სადაც საცხოვრებელი ადგილი გააჩნია აგრეთვე შვილად ამყვანს, მაშინ კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ორგანო.

მუხლი 30

მეურვეობა და მზრუნველობა

1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მოქალაქეების მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე კომპეტენტურია ხელშეკრულები მონაწილე იმ მხარის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომლის მოქალაქეც არის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი. ამ შემთხვევაში გამოიყენებული იქნება ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობა.

2. სამართალურითიერთობანი მეურვეს ან მზრუნველს და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს შორის განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც დანიშნა მეურვე ან მზრუნველი.

3. თუ აუცილებელია დაწესდეს მეურვეობა ან მზრუნველობა მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, რომლის საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ანდა ქონება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზეა, მაშინ ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კომპეტენტურ ხელშეკრულების მონაწილე მხარის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

4. გადაუდებელ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავად შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები, მაგრამ მან წინასწარ მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კომპეტენტურ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მიღებული ზომები ძალაში რჩება მანამ, სანამ ეს ორგანო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

5. ამ მუხლის 1_ ლი პუნქტის შესაბამისად, კომპეტენტურ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მზრუნველობა და მეურვეობა გადასცეს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის შესაბამის ორგანოს, თუ მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ანდა ქონება ამ სახელმწიფოში იმყოფება. გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ შემსრულებელი ორგანო თანახმა იქნება მიიღოს მეურვეობა ან მზრუნველობა და ამის შესახებ აცნობებს შესაკითხ ორგანოს.

6. ორგანო, რომელმაც ამ მუხლის მე 5 პუნქტის თანახმად მიიღო მეურვეობა ან მზრუნველობა, მას ახორციელებს თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა მას უფლება არა აქვს გადაწყვეტილება გამოიტანოს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის პირად სტატუსს, მაგრამ ამასთან მას შეუძლია დართოს ქორწინების ნება, თუ ამას ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რმლის მოქალაქეც არის ეს პირი.

ქონებრივი სამართალური თეობანი

მუხლი 31

საკუთრების უფლება

1. საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ქონება.

2. საკუთრების უფლება სახელმწიფო რეესტრში შეტანილ სატრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრაციის განმხორციელებელი ორგანო.

3. ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი უფლების წარმოშობა და შეწყვეტა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ქონება იმ მომენტში, როცა ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც გახდა ასეთი უფლების წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძველი. საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი უფლებების წარმოშობის შეწყვეტა ქონებაზე, რომელიც გარიგების საგანს წარმოადგენს, განისაზღვრება გარიგების დადების ადგილზე მოქმედი კანონმდებლობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 32

გარიგების ფორმა

1. გარიგების ფორმა განისაზღვრება მისი დადების ადგილას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გარიგების ფორმა უძრავ ქონებასა და მასზე წარმოშობილ უფლებებზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ასეთი ქონება.

მუხლი 33

ზარალის ანაზღაურება

1. ვალდებულება ზარალის ანაზღაურებაზე, გარდა ხელშეკრულებებისა და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან გამომდინარე შემთხვევებისა, განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რომელიც ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა.

2. თუ ზარალის მიმყენებელი და დაზარალებული ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები არიან, გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის სასამართლოშიც განცხადება იქნა შეტანილი.

3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებზე კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს ასევე შეუძლია სარჩელი წარადგინოს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც მოპასუხეს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 34

მემკვიდრეობის უფლება

1. მემკვიდრეობის უფლება მოძრავ ქონებაზე რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც სამკვიდროს დამტოვებელს გააჩნია უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

2. მემკვიდრეობის უფლება უძრავ ქონებაზე რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ქონება იმყოფება.

3. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები უფლებრივად უთანაბრდებიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ მის ტერიტორიაზე, მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ანდერძის შედგენის ან შეცვლის შესაძლებლობასთან ან იქ განსახორციელებელ სხვა უფლებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მემკვიდრეობა ქონების ან უფლების მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ქონება ან უფლება მათზე გადადის იგივე პირობებით, რაც დადგენილია ხელშეკრულების მონაწილე მხარის მოქალაქეებისათვის, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

მუხლი 35

მემკვიდრეობის გადასვლა სახელმწიფოზე

თუ ხელშეკრულების მონაწილე მხაეთა კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ნაანდერძევი სამკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში, მაშინ მოძრავი ქონება გადადის იმ სახელმწიფოს საკუთრებაში, რომლის მოქალაქეც იყო სამკვიდროს დამტოვებელი გარდაცვალების მომენტში, ხოლო უძრავი ქონება – იმ სახელმწიფოს საკუთრებაში, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება იმყოფება.

მუხლი 36

ანდერძის ფორმა

ანდერძის ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იყო სამკვიდროს დამტოვებელი ანდერძის შედგენის მომენტში. თუმცა საკმარისია დაცულ იქნეს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც შედგა ანდერძი. ეს დებულება გამოიყენება აგრეთვე ანდერძის გაუქმების მიმართ.

მუხლი 37

სამემკვიდრო საქმეთა წარმოების კომპეტენცია

1. მოძრავ ქონებაზე სამემკვიდრო საქმეების წარმოებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ახორციელებენ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დაწესებულებანი, რომლის ტერიტორიაზეც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

2. თუ მთლიანი მოძრავი სამემკვიდრო ქონება იმყოფება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც სამკვიდროს დამტოვებელს არ გააჩნია უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ მემკვიდრის ან მემკვიდრეობის მიღებაზე უარის მთქმელის განცხადებით, თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა, სამემკვიდრო საქმის წარმოებას ეწევიან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებანი.

3. უძრავ ქონებაზე სამემკვიდრო საქმეთა წარმოებას ახორციელებენ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დაწესებულებანი, რომლის ტერიტორიაზეც ეს ქონება იმყოფება. 4. ამ მუხლის დებულებანი სამემკვიდრო საქმეებთან დაკავშირებულ დავებზეც ვრცელდება.

მუხლი 38

სამემკვიდროს დასაცავად მიღებული ზომები

1. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ორგანოები თავისი კანონმდებლობის შესაბამისად დებულობენ ზომებს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქის მიერ მათ ტერიტორიაზე დატოვებულ სამკვიდრო ქონების დასაზღვევად.

2. სამკვიდროს დასაზღვევად ზომების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოები მოვალენი არიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კონსულს

სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების და იმ პირობა შესახებ, რომლებიც თავიანთ უფლებებს აცხადებენ მემკვიდრეობაზე, ასევე მათთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, რომლებიც მემკვიდრეობაზე უფლების მქონე პირებს ეხება, მათი ადგილსამყოფელის, ანდერძის არსებობის, სამემკვიდრეო ქონების მოცულობისა, ღირებულების და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ზომებია მიღებული სამკვიდროს დასაცავად.

3. დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მოთხოვნით მათ გადაეცემათ მოძრავი სამკვიდრო ქონება და გარდაცვალების დოკუმენტები.

4. ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უფლება აქვს განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე გამოვიდეს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ორგანოების წინაშე და წარმოიდგინოს სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი მოქალაქეების ინტერესები, თუ ამ მოქალაქეებს ადგილზე ყოფნის ან მსხვა საპატიო მიზეზების გამო არ შეუძლიათ თავის დროზე დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები და არ დაუნიშნავეთ რწმუნებული.

5. თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე მგზავრობის დროს გარდაიცვალა, სადაც მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, ნივთები, რომლებიც მას თან ჰქონდა, აღწერით გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომლის მოქალაქეც იყო გარდაცვლილი.

მუხლი 39

სამკვიდროს გაცემა

1. თუ მოძრავი სამემკვიდრეო ქონება ან თანხა, რომელიც ამოღებულია მოძრავი ან უძრავი სამემკვიდრეო ქონების გაყიდვის შედეგად, სამემკვიდრეო წარმოების დამთავრების შედეგად ექვემდებარება მემკვიდრეებზე გადაცემას, რომელთა საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ სამემკვიდრეო ქონება ან ამონაღები თანხა გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

2. მემკვიდრეობის საქმეებზე კომპეტენტური დაწესებულება იძლევა განკარგულებას სამემკვიდრეო ქონების დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებებისათვის გადაცემის შესახებ.

3. ეს ქონება მემკვიდრეებს შეიძლება გადაეცეს, თუ:

1) გადახდილი ან უზრუნველყოფილია სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორთა ყველა მოთხოვნა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით დადგენილ იმ ვადებში, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება სამემკვიდრეო ქონება.

2) გადახდილი ან უზრუნველყოფილია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადი.

3) კომპეტენტურმა დაწესებულებებმა, თუ ეს აუცილებელია, გასცეს თანხმობა სამემკვიდრეო ქონების გასატანად.

4) ფულადი თანხების გადაგზავნა წარმოებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მეორე განყოფილება
გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება**

მუხლი 40

**სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა, ასევე სისხლის
სამართლის საქმეებზე ზარალის ანაზღაურების ნაწილში განაჩენთა
ცნობა და აღსრულება**

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ასევე განაჩენებს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალი ანაზღაურების ნაწილში.
2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ტერიტორიაზე სპეციალური წარმოების გარეშე ცნობენ ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის და სამოქალაქო საქმეებზე სხვა დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს, რომლებიც თავისი ხასიათით არ მოითხოვენ აღსრულებას.

მუხლი 41

**გადაწყვეტილებათა აღსრულების ნებართვაზე შუამდგომლობათა
განხილვა**

1. გადაწყვეტილებათა აღსრულების ნებართვაზე შუამდგომლობათა განხილვა შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლოთა კომპეტენციაში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.
2. აღსრულებაზე ნებართვის გაცემის შესახებ შუამდგომლობა შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება პირველი ინსტანციით. ეს უკანასკნელი გადაუგზავნის შუამდგომლობას სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის თაობაზე.
3. შუამდგომლობის რეკვიზიტები განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.
4. აღსრულების ნებართვაზე შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:
 - 1) სასამართლოს მიერ დამოწმებული გადაწყვეტილების ასლი, ოფიციალური დოკუმენტი ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ, თუ ასეთი არ გამომდინარეობს თვით გადაწყვეტილების ტექსტიდან, ასევე ცნობა მისი აღსრულების შესახებ, თუ გადაწყვეტილება ადრე სრულდებოდა ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ტერიტორიაზე;
 - 2) დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ მოპასუხეს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში დროულად და სათანადო ფორმით, თუნდაც ერთხელ ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოძახების შესახებ;
 - 3) ამ მუხლის მე-4 პუნქტის 1-ლ და 2-ე ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების დამოწმებული თარგმანები.

5. თუ აღსრულების ნებართვის გაცემისას სასამართლოს წარმოეშება ეჭვი, მას შეუძლია მოსთხოვოს შუამდგომლობის აღმძვრელ პირს განმარტება, ასევე გამოკითხოს მევალე შუამდგომლობის არსთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს განმარტება სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე.

მუხლი 42

გადაწყვეტილების აღსრულების წესი

1. აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

2. აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების ნაწილში გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

მუხლი 43

უარი სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას:

1) თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მისი წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება;

2) თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე;

3) თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

მუხლი 44

მხარეთა მორიგეების ცნობა

ამ ხელშეკრულების 40-43 მუხლების დებულებები სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ, გამოიყენება ასევე სასამართლო წესით დამტკიცებული მხარეთა მორიგეების მიმართ.

მუხლი 45

ნივთების გატანა და ფულადი თანხების გადაგზავნა

ამ ხელშეკრულების დებულებები გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ არ შეეხება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კანონმდებლობის აღსრულების შედეგად შეძენილი ნივთების გატანისა და ფულადი თანხების გადაგზავნის შესახებ.

მესამე განყოფილება

სამართლებრივი დახმარება და სამართლებრივი ურთიერთობები სისხლის სამართლის საქმეებზე

მუხლი 46

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ვალდებულება

1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, აღძრავს სისხლისსამართლებრივი დევნას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი თავისი მოქალაქეების მიმართ.

2. წინასწარი გამოძიების მასალები, ასევე განცხადებები სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო ვადებში შეიტანება ამ მხარის კომპეტენტურ დაწესებულებებში, ნამდვილია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზეც.

3. პირებს, რომელთაც დანაშაულის შედეგად მიაღვათ მატერიალური ზარალი და რის თაობაზეც გაგზავნილია შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საქმეში, თუკი მათ წარდგენილი აქვთ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 47

თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ

1. თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და მოიცავდეს:

1) შემკითხველი დაწესებულების დასახელებას;

2) ქმედების აღწერას, რასთან დაკავშირებითაც გაგზავნილია თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ;

3) ქმედების ჩადენის დროისა და ადგილის შეძლებისდაგვარად ზუსტ მითითებას;

4) ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კანონის ტექსტს, რომლის საფუძველზეც ქმედება მიჩნეულია დანაშაულად;

5) ეჭვიტანილი პირის სახელს და გვარს, მონაცემებს მისი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შესახებ, ასევე სხვა მონაცემებს მისი პიროვნების შესახებ, მისი პიროვნების შესახებ, შეძლებისდაგვარად, ამ პირის გარეგნობის აღწერას, მის ფოტოსურათს და თითის ანაბეჭდებს;

6) დაზარალებულის განცხადებას ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღიძვრება დაზარალებულის განცხადების საფუძველზე და მატერიალური ზარალის ანაზღაურების თაობაზე, თუკი ასეთი არსებობს;

7) არსებულ მონაცემებს მიყენებული მატერიალური ზარალის შესახებ, თხოვნას თან ერთვის ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის განკარგულებაში არსებული წინასწარი გამოძიების მასალები და მტკიცებულებები. საგნების გადაცემისას, რომლებიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის იარაღს ან რომლებიც დამნაშავესთან მოხვდნენ ასეთი დანაშაულის შედეგად, გათვალისწინებულ უნდა იქნას 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები.

2. თუ პირი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ თხოვნის გაგზავნის დროს იმყოფება პატიმრობაში ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, რომელიც აგზავნის ასეთ თხოვნას, იგი გადაყვანილი უნდა იქნას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე მყოფი პირის ეტაპირება სანქციონირებული უნდა იყოს სათანადო თანამდებობის პირის მიერ. ასეთი პირის გადაცემა ხდება ამ ხელშეკრულების 57-ე მუხლის პუნქტის დებულებათა თანახმად.

მუხლი 48

პირის გადაცემა სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ამ ხელშეკრულების დებულებათა თანახმად თხოვნის საფუძველზე ერთმანეთს გადასცენ მათ ტერიტორიაზე მყოფი პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით.

2. გადაცემა წარმოებს ისეთი ქმედებისათვის, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობით წარმოადგენს დანაშაულს და რომელთათვისაც გათვალისწინებულია სასჯელის ზომა თავისუფლების აღკვეთის სახით 1 წელზე მეტი ვადით ან სხვა უფრო მძიმე სასჯელით. გადაცემა, განაჩენის სისრულეში მოსაყვანად წარმოებს ასეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, თუ პირი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით 6 თვეზე მეტი ვადით ან დანიშნული აქვს სხვა უფრო მძიმე სასჯელი

მუხლი 49

უარი გადაცემაზე

1. გადაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ:

1) პირი, რომლის გადაცემის თაობაზეც გაგზავნილი თხოვნა არის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის მოქალაქე ან ამ სახელმწიფოში მიცემული აქვს თავშესაფრის უფლება;

2) სისხლის სამართლებრივი დევნა ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობით აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის კერძო საჩივრით;

3) თხოვნის მიღების მომენტიდან თავისუფლების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება აღიძვრას სისხლისსამართლებრივი დევნა ან განაჩენი არ შეიძლება მოყვანილ იქნას სისრულეში ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობის გამო;

4) ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე პირის მიმართ, რომლის თაობაზეც გაგზავნილია თხოვნა გადაცემის შესახებ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ;

5) დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც გაგზავნილია თხოვნა გადაცემის შესახებ, ჩადენილია ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე.

2. გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს უარის საფუძველს.

მუხლი 50

გადაცემის გადავადება

თუ პირის მიმართ, რომლის თაობაზეც გაგზავნილია თხოვნა გადაცემის შესახებ ხორციელდება დევნა ან იგი იხდის სასჯელს სხვა დანაშაულისათვის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე, გადაცემა შეიძლება გადაიდოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნებისმიერი კანონიერი საფუძველით განთავისუფლებამდე.

მუხლი 51

დროებითი გადაცემა

თუ ამ ხელშეკრულების 50-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცემის გადავადება გამოიწვევს სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლას ან გაართულებს დანაშაულის გამოძიებას, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მოხდეს დროებითი გადაცემა იმ პირობით, რომ გადაცემული პირი დაუყოვნებლივ იქნება დაბრუნებული იმ საპროცესო მოქმედებების შესრულების შემდეგ, რომლისთვისაც მოხდა მისი გადაცემა და არა უგვიანეს 3 თვისა გადაცემის დღიდან.

მუხლი 52

გადაცემა რამდენიმე სახელმწიფოს თხოვნით

თუ შუამდგომლობა პირის გადაცემის შესახებ რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქნა მიღებული, მაშინ საკითხს იმისი შესახებ თუ რომელი მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს, წყვეტს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე.

მუხლი 53

გადაცემული პირის სისხლის სამართლებრივი დევნის ფარგლები

1. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე არ შეიძლება გადაცემული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან დასჯა სხვა დანაშაულისათვის, რაც გადაცემის საფუძველი არ ყოფილა.

2. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე ასევე არ შეიძლება მისი გადაცემა მესამე სახელმწიფოსათვის.

3. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობა საჭირო არ არის, თუ პირმა სისხლის სამართლებრივი დევნის დამთავრების, სასჯელის მოხდის ან ნებისმიერი კანონიერი საფუძველით გათავისუფლების შემდეგ 15 დღის განმავლობაში არ დატოვა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია ან თუ იგი ნებაყოფლობით კვლავ დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე. ამ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც გადაცემულ პირს მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არ შეეძლო დაეტოვებინა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია.

მუხლი 54

თხოვნა გადაცემის შესახებ

1. თხოვნა გადაცემის შესახებ უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

1) შემკითხველი დაწესებულების დასახელებას;

2) ჩადენილი დანაშაულის აღწერას და ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კანონის ტექსტს, რომლის საფუძველზეც ქმედება დანაშაულად არის მიჩნეული;

3) იმ პირის სახელსა და გვარს, რომლის გადაცემის შესახებ გაგზავნილია მოთხოვნა. მონაცემებს მისი პიროვნების შესახებ. აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, პირის გარეგნობის აღწერას, მის ფოტოსურათს და თითების ანაბეჭდებს;

4) მითითებას მიყენებული მატერიალური ზარალის მოცულობის შესახებ.

2. თხოვნას პირის გადაცემის შესახებ სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, თან უნდა დაერთოს პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი საქმის ფაქტიურ გარემოებათა აღწერით.

3. თხოვნას პირის გადაცემის შესახებ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, თან უნდა დაერთოს განაჩენის დამოწმებული ასლი, ცნობა მისი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ და სისხლის სამართლის კანონის ტექსტი, რომლის საფუძველზეც პირს მსჯავრი დაედო. თუ მსჯავრდებულმა უკვე მოიხადა სასჯელის ნაწილი, ხდება ამ მონაცემების შეტყობინებაც.

4. თუ შუამდგომლობა გადაცემის შესახებ არ შეიცავს აუცილებელ მონაცემებს, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მონაცემები. ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარემ უნდა უპასუხოს არა უგვიანეს 1 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 15 დღით საპატიო მიზეზების არსებობისას.

მუხლი 55

პატიმრობაში აყვანა გადასაცემად

გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე დაუყოვნებლივ იღებს ზომებს გადასცემი პირის პატიმრობაში აყვანის მიზნით.

მუხლი 56

პატიმრობაში აყვანა გადაცემის შესახებ თხოვნის მიღებამდე

1. გადაუდებელ შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია აიყვანოს პირი პატიმრობაში ამ პირის მიმართ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის მიერ პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების ასლის ან კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (განაჩენიდან ამონაწერის) მიღებამდეც.

პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების ან კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (განაჩენიდან ამონაწერის) ასლები გადაიგზავნება ნებსმიერი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის გადაცემას (ფაქსი და ა.შ.).

2. იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამო არ დაკმაყოფილდა თხოვნა პატიმრობაში აყვანის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს.

3. პატიმრობაში აყვანილი პირი უნდა განთავისუფლდეს თუ თხოვნა მისი გადაცემის შესახებ პატიმრობაში აყვანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში არ იქნება მიღებული ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარისაგან. შემკითხველი მხარის თხოვნით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 15 დღით.

მუხლი 57

გადაცემის განხორციელება

1. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს გადაცემის თაობაზე თავისი გადაწყვეტილების შესახებ, გადაცემის დროისა და ადგილის მითითებით.

2. თუ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე არ მიიღებს გადასაცემ პირს გადაცემის დადგენილი თარიღიდან 15 დღის განმავლობაში, ეს პირი უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან.

მუხლი 58

განმეორებითი გადაცემა

თუ გადაცემული პირი თავს აარიდებს სისხლის სამართლებრივ ღებნას ან სასჯელის მოხდას და დაბრუნდება ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე, მაშინ იგი ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნით შეიძლება განმეორებით გადაიცეს. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის 54-ე მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების დართვა.

მუხლი 59

საგნების გადაცემა

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომელსაც წარდგინება თხოვნა გადაცემის შესახებ, გადასცემს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს საგნებს, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის იარაღს, გააჩნია დანაშაულის კვალი ან მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით; საგნებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება ცნობილ იქნან ნივთმტკიცებებად. ეს საგნები გადაიცემა თხოვნის საფუძველზე და იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირის გადაცემა ვერ ხდება მისი გარდაცვალების ან სხვა მიზეზების გამო.

2. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია შეაჩეროს ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული საგნების გადაცემა დროებით, თუკი ისინი აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს შეიძლება ეს საგნები ასევე გადაეცეს დროებით მოლაპარაკების საფუძველზე.

3. მესამე პირთა უფლებები ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარისათვის გადაცემულ საგნებზე, ძალაში რჩება. საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ ეს საგნები უნდა დაუბრუნდეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, რომელმაც იგი გადასცა.

მუხლი 60

სატრანზიტო გადაზიდვა

1. ხელშეკრულების მონაწილე ყოველი მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნის საფუძველზე ნებას რთავს თავის ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს მიერ გადაცემული პირის სატრანსპორტო გადაყვანაზე. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან ვალდებული ნება დართონ პირთა გადაყვანაზე, რომელთა გადაცემაც არ დაიშვება ხელშეკრულების დებულებათა თანახმად.

2. თხოვნა გადაყვანის ნებართვაზე ფორმდება და იგზავნება იმავე წესით, როგორც თხოვნა გადაცემის შესახებ.

3. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კომპეტენტური დაწესებულებები ცალკე ათანხმებენ სატრანზიტო გადაყვანის ყველა შემთხვევას, მის საშუალებას, მარშრუტს და სხვა პირობებს.

მუხლი 61

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების დასწრება სისხლის სამართლის საქმეებზე დახმარების აღმოჩენისას

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის წარმომადგენლებს შეუძლიათ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თანხმობით დაესწრონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობათა შესრულების პროცესს.

მუხლი 62

მონაცემები ნასამართლობის შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს თხოვნის საფუძველზე მიაწოდებენ მონაცემებს იმ პირობა ნასამართლობის შესახებ, რომლებიც მიცემულ არიან სისხლის სამართლის პაშუხისგებაში ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 63

მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგის შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს აცნობენ იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გაგზავნილ იყო თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან გადაცემის შესახებ. ცალკე თხოვნის საფუძველზე გაიგზავნება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილების ასლი.

მუხლი 64

მონაცემები განაჩენების შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს ყოველწლიურად მიაწვდიან მონაცემებს კანონიერ ძალაში შესული განაჩენების შესახებ, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოების მიერ გამოტანილია ხელშეკრულების მონაწილეთა მეორე მხარის მოქალაქეთა მიმართ.

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი

დასკვნითი დებულებები

მუხლი 65

ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან 30 დღის შემდეგ, რომელიც შედგება ქ. კიევში.

მუხლი 66

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება მოქმედებს ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის განმავლობაში.
2. ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის

დენონსაციას, აცნობებს რა ამის შესახებ ნოტიო ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 6 თვით ადრე.

3. ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს და დასრულდეს იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია მისი დადებისათვის.

შესრულებულია ქ. თბილისში 1995 წ. 9 იანვარს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს გააჩნია ერთნაირი ძალა. ამ ხელშეკრულების განმარტების დროს წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში საფუძვლად აიღება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის
სახელით

უკრაინის სახელით